ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6990136

ნომერი: AR11028965

თარიღი : 11.04.2024

გაცემის თარიღი : 18.04.2024

გაცნობის თარიღი : 19.04.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 13;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვერიკო ბაბუციძე პ/ნ 59004005792
- გორი ს. აჩაბეთი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 დეკემბრის №6785966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 11 აპრილს №AR11028965 განცხადებით მომართა ვერიკო ბაბუციძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 05

დეკემბრის №6785966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 05 დეკემბრის №6785966 ბრძანებით №01.17.12.003.261 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სახლი N10) (ნაკვეთი N10) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 5 დეკემბრიდან 2025 წლის 5 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
ამავე ბრძანების მე-7 პუნქტში დაფიქსირდა ღია ავტოსადგომის ფართობი: ს/კ 01.17.12.003.261 ნაკვეთზე მდებარე N10 შენობის 12 ღია ავტოსადგომი 177,6 კვ.მ. ს/კ 01.17.12.003.258 ნაკვეთზე მდებარე N10 შენობის 6 ღია ავტოსადგომი 82,8 კვ.მ. ს/კ 01.17.12.003.264 ნაკვეთზე მდებარე N10 შენობის 6 ღია ავტოსადგომი 82,8 კვ.მ. ს/კ 01.17.12.003.261 ნაკვეთზე მდებარე N9 შენობის 5 ღია ავტოსადგომი 69 კვ.მ. ს/კ 01.17.12.003.261 ნაკვეთზე მდებარე N11 შენობის 2 ღია ავტოსადგომი 35,2 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 05 დეკემბრის №6785966 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, არ არის დაფიქსირებული N10 შენობისთვის განკუთვნილი 24 ღია ავტოსადგომის ჯამური ფართობი: 343.2 კვ.მ. (ამჟამად, ბრძანებაში მითითებულია ცალ-ცალკე საკადასტრო კოდების მიხედვით). ასევე, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ გენ-გეგმაზე და 1 სართული გეგმაზე და ავტოსადგომების განაწილების სქემაზე დაფიქსირებული ღია პარკინგები ერთმანეთთან შეუსაბამოა. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 დეკემბრის №6785966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 დეკემბრის №6785966 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „7. საპროექტო შენობა-ნაგებობისთვის, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 343.2 კვ.მ. , მათ შორის 12 ღია ავტოსადგომი, საერთო ფართობით 177.6 კვ.მ., მდებარეობს №01.17.12.003.261 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, 6 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 82.8 კვ.მ., მდებარეობს №01.17.12.003.258 საკადასტრო ერთეულზე და 6 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 82.8 კვ.მ., მდებარეობს №01.17.12.003.264 საკადასტრო ერთეულზე. ამასთან, N01.17.12.003.261 ნაკვეთზე მდებარეობს N9 შენობისთვის განკუთვნილი 5 ღია ავტოსადგომი: 69 კვ.მ., N01.17.12.003.261 საკადასტრო ერთეულზე მდებარეობს N11 შენობისთვის განკუთვნილი 2 ღია ავტოსადგომი: 35.2 კვ.მ.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 დეკემბრის №6785966 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა და I სართულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გენ-გეგმით და I სართულის გეგმით (მე-5 ფურცელი).
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 დეკემბრის №6785966 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 05 დეკემბრის №6785966 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.